დანართი No. 1

NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების
სამაგისტრო პროგრამა

შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 01.10.2024

დასკვნის წარდგენის თარიღი: 15.10.24

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	201951637
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები ნათია მაღალაშვილი

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ / ორგანიზაცია/ქვეყანა)	პაულო ვილა მაიორი, კოიმბრას უნივერსიტეტი, პორტუგალია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ /ორგანიზაცია/ქვეყანა)	თინათინ ქაროსანიძე, შპს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ჟანა სირბილაძე, პროექტის მენეჯერი, Zinc Network, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნინო ტალიკაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ნათია მაღალაშვილი, შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	გლობალური პოლიტიკა და უსაფრთხოების კვლევები
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Global Politics and Security Studies
უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	უსაფრთხოების კვლევების მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0312 პოლიტიკის მეცნიერებები და მოქალაქეობრიობის საფუძვლები
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	120 ECTS კრედიტი
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	არააკრედიტებული. 2021 წლიდან ხორციელდება ავტორიზაციის რეჟიმში.
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო - შემოქმედებითი ან / და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური / შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების / პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	52108, 02.02.2021

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ასევე მსგავსი პროგრამებისთვის დადგენილ სტანდარტებს. ის მკაფიოდ არის განსაზღვრული პოლიტიკის მეცნიერებების და მოქალაქეობრიობის საფუძვლების სფეროში. პროგრამა რელევანტურია როგორც რეგიონულ, ასევე მსოფლიო კონტექსტში. საგანმანათლებლო პროგრამის დიზაინი ავლენს ორიგინალურობის ძლიერ ნიშნებს. შიდა მექანიზმები, რომლებიც ეხება პროგრამის სწავლის შედეგებს და კურსების სილაბუსებს შორის თანმიმდევრულობას ყოვლისმომცველი და დამაკმაყოფილებელია. პროგრამაში წარმოდგენილი თეორია და პრაქტიკა სტუდენტებს ამზადებს სამომავლო პროფესიული საქმიანობისთვის გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების სფეროში.

- **რეკომენდაციები**

  1. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების მასალები: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, სამხედრო სტრატეგია და გლობალიზაცია, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოების კვლევები ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და გლობალური პოლიტიკის პრობლემები, რეგიონული უსაფრთხოების კვლევები (ყველა სავალდებულო კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია, გეოეკონომიკური ომი და სახელმწიფოებრიობა, მასობრივი განადგურების იარაღის სამართლებრივი ჩარჩო, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიების მიმოხილვა და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი, რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოება, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი). (იხილეთ 1.5 კომპონენტი).

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

2. რეკომენდებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის უმნიშვნელო კორექტირება არასწორი თარგმანის გამო, ან გადახედვა შიდა შეუსაბამობების თავიდან აცილების, ან შინაარსის გადაფარვის კორექტირების მიზნით: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა და გლობალური პოლიტიკის პრობლემები (ყველა არჩევითი კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული გადაცემის კონტროლის ეროვნული მექანიზმები, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი). (იხილეთ 1.5 კომპონენტი).
3. რეკომენდებულია გააძლიეროთ ენის ცოდნის დონე: უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი და ნაშრომის ხელმძღვანელი სათანადო დონეზე ფლობდეს ინგლისურ ენას, ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას ან ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნას (იხილეთ 4.2 კომპონენტი).

4. რეკომენდებულია რეგულარული ინვენტარიზაცია: განახორციელეთ რეგულარული ინვენტარიზაცია, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ყველა საჭირო მასალის ხელმისაწვდომობა სრულად და კარგ მდგომარეობაში, თავფურცელის გვერდების ჩათვლით (იხილეთ 4.4 კომპონენტი).

5. რეკომენდებულია უზრუნველყოთ მეტი რესურსის გამოყოფა ლიტერატურის განახლებისთვის: უსდ-ს ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული აქვს მნიშვნელოვანი თანხა, თუმცა სამაგისტრო პროგრამისათვის აღნიშნული თანხა შეადგენს მხოლოდ 750 ლარს. მკვეთრად უნდა გაიზარდოს აღნიშნული თანხა, იმისათვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს თავიანთი მასალების განახლება და მასალების აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა (ქვემოთ იხილეთ 4.5 კომპონენტი).

6. რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში რეგულარულ რეჟიმში, პრაქტიკაში განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს სხვადასხვა პერსპექტივიდან (იხილეთ 5.3 კომპონენტი).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:**

    1. სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს ჩამოთვლილი კურსების სახელწოდებების შემოკლებული, ალტერნატიული ვერსიები: გაეროს

უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სტრატეგიული საქონლის კონტროლის და საერთაშორისო ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ და ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით (პრაქტიკული შემთხვევები). (იხილეთ 1.5 კომპონენტი).

2. სასურველია დამატებითი მხარდაჭერის შეთავაზება სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტს საკმარისი მეთოდოლოგიური ცოდნით. (იხილეთ 3.2 კომპონენტი).

3. მოწვეული პერსონალის დამატება გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას და სწავლების მეთოდოლოგიას უფრო მრავალფეროვანს გახდის. (იხილეთ 4.1 კომპონენტი).

4. სასურველია, დაინერგოს სტუდენტების უკუკავშირის მექანიზმი იმისათვის, რომ მათ შეძლონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევის შესახებ ანგარიშის წარდგენა, განსაკუთრებით ენობრივი ბარიერების თვალსაზრისით, რაც იძლევა დროული ჩარევის საშუალებას (იხილეთ 4.2 კომპონენტი).

5. სასურველია უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა - ხელმძღვანელებისთვის უკუკავშირის შედეგების გაზიარება, რათა მათ შეძლონ განახორციელონ საჭირო ნებისმიერი რეკომენდაცია პროცესის გაუმჯობესების მიზნით (იხილეთ 4.2 კომპონენტი).

6. სასურველია ხელმძღვანელის პოლიტიკის დაზუსტება - უზრუნველყოფილი იყოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სრულად იყოს ინფორმირებული სტუდენტების ხელმძღვანელობის მარეგულირებელი წესების შესახებ, მათ შორის სტუდენტების მიერ ხელმძღვანელის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით (იხილეთ 4.2 კომპონენტი).

7. სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება - ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ტექსტების სრული ასლები, განსაკუთრებით ძირითადი რესურსების ასლები, როგორიც არის კოლინ გრეის "თანამედროვე სტრატეგია", იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სასწავლო გეგმის მოთხოვნები. დარწმუნდით, რომ ასევე დასკანერებულია წიგნის თავფურცელიც (იხილეთ 4.4 კომპონენტი).

8. სასურველია რესურსებთან დაკავშირებით სტუდენტების უკუკავშირის შეგროვება, სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ უკუკავშირის წარმოდგენას საბიბლიოთეკო რესურსებთან

დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და საერთო კოლექციის გაუმჯობესებას (იხილეთ 4.4 კომპონენტი).

9. სასურველია სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლების დანერგვა იმისათვის, რომ დროულად გაზიარდეს რეკომენდაციები და/ან რჩევები თანამშრომლებთან და აკადემიურ პერსონალთან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები სათანადოდ იყოს განხილული და გამოყენებული გაუმჯობესების მიზნით. რეგულარული და ყოვლისმომცველი უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ ზრდას და დაწესებულების მიზნებთან უკეთესად შესაბამისობას (იხილეთ 5.1 კომპონენტი).
10. სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემატიურ თანამშრომლობას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური ერთობლივი მუშაობა პრობლემების გადაჭრის და განვითარების გაუმჯობესების მიზნით (იხილეთ 5.1 კომპონენტი).

11. სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე შემფასებლების რეკომენდაციების სრულად განხორციელება ან მკაფიო დასაბუთების წარმოდგენა იმის თაობაზე თუ რატომ ვერ ხორციელდება აღნიშნული რეკომენდაციები. აღნიშნული გაზრდის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტურობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიშვალდებულებასთან ერთად უფრო სასარგებლო გახადოს ექსპერტთა მოსაზრებები (იხილეთ 5.2 კომპონენტი).

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არგუმენტები უნივერსიტეტის აკრედიტაციის პროცესის სამაგისტრო პროგრამის "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" დასკვნასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის წევრებს ჰკითხეს, შეცვლიდა თუ არა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების არგუმენტები (ყველა ან ზოგიერთი) დასკვნაში მოტანილ გარემოებებს რეკომენდაციებსა და რჩევებს.

- ერთ-ერთი წევრმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ცვლილებები არ იყო საჭირო, რადგან მან გააძლიერა რწმენა, რომ მისი ანალიზი იყო სამართლიანი, ნეიტრალური და ზუსტი.

პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის არგუმენტები არ იყო საკმარისად დამაჯერებელი რეკომენდაციებისა და რჩევების გასაუქმებლად ან შესაცვლელად.
- ექსპერტთა ჯგუფის დანარჩენი ორი წევრისგან უკუკავშირი არ ყოფილა, მათ არ სურდათ ანგარიშში ცვლილებების შეტანა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიციის შესაბამისად.

შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი უცვლელად ტოვებს 2024 წლის 25 ნოემბრის გაგზავნილ დასკვნას.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და / ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ- ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვებ - გვერდზე და სხვადასხვა კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი ინფორმაცია ნათლად აჩვენებს, რომ პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის განსაზღვრული, ვინაიდან მიზნად ისახავს გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების მიმართულებით მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებსაც ექნებათ ღრმა თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების საკითხებში, ასევე ანალიტიკურ მეთოდებში და შეძლებენ პრობლემების დამოუკიდებლად გადაჭრას. პროგრამის მიზნები რეალისტურია კურსების სილაბუსების ანალიზის და საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებული მსგავსი სამაგისტრო პროგრამების კონტექსტის თვალსაზრისით.

საერთაშორისო უნივერსიტეტების სამაგისტრო პროგრამებთან შედარება აჩვენებს, თუ რამდენად შეესაბამება პროგრამის მიზნები საერთაშორისო სტანდარტებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესამჩნევად მსგავსია საერთაშორისო უნივერსიტეტებში არსებული სამაგისტრო პროგრამების სტრუქტურის. საგანმანათლებლო პროგრამა მიჰყვება დარგში არსებულ თანამედროვე ტენდენციებს, რომლებიც ხაზს უსვამს უსაფრთხოების ახალ, არაკონვენციურ საფრთხეებს, რითიც კიდევ უფრო ძლიერდება საერთაშორისო სტანდარტებთან საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა.

"გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების პროგრამის" დოკუმენტის ანალიზი განსაზღვრავს თუ როგორ კარგად არის დაგეგმილი უნარები და კომპეტენციები, რაც სტუდენტებს აძლევს თეორიულ და ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც შეესაბამება მათ სამომავლო მონაწილეობას შრომის ბაზარზე, ეროვნული და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხებში ანალიტიკოსების და მკვლევრების როლში (უსაფრთხოების კვლევების ანალიზი, შედარებითი კვლევები რეგიონულ უსაფრთხოებაში, ეროვნული

უსაფრთხოების დაგეგმვა და სტრატეგიის შედგენა და საერთაშორისო, რეგიონული და ეროვნული უსაფრთხოების სხვა სპეციალური საკითხები).
მათ დარგის და საზოგადოების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ, კერძოდ, თანამედროვე, არაკონვენციური უსაფრთხოების საფრთხეების განხილვით (კიბერუსაფრთხოება და თავდაცვა, ჰიბრიდული ომი, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება, მასობრივი განადგურების იარაღი) და სტუდენტების როგორც მომავალი ექსპერტების მომზადებით, რომლებსაც ექნებათ პროაქტიული უნარები, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს სპეციფიკური გეოპოლიტიკური კონტექსტის გათვალისწინებით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ -ს და სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისიას, მიზნებს და სტრატეგიას, იმის გათვალისწინებით, რომ როგორც უსდ - ს, ისე ფაკულტეტის სტრატეგიული დოკუმენტები ხაზს უსვამენ სოციალურად მნიშვნელოვან სფეროებში სტუდენტების მომზადების მნიშვნელობას.
დარგი და საქართველოს სპეციფიკური გეოპოლიტიკური მდებარეობა ხაზს უსვამს საგანმანათლებლო პროგრამის სოციალურ მნიშვნელობას. შრომის ბაზრის წარმომადგენლებთან განხორციელებულმა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ აღნიშნული წარმოადგენს პროგრამის ძლიერ მხარეს. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებისას სტუდენტებმა განაცხადეს, რომ აღნიშნული მახასიათებელი წარმოადგენდა სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მოტივაციას.
უსდ - ს პროგრამის მიზნების შედარება საერთაშორისო უნივერსიტეტების პროგრამებთან წარმოადგენს საგანმანათლებლო პროგრამის კიდევ ერთ ძლიერ მხარეს, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა აკმაყოფილებს სწავლის სფეროში არსებულ ძირითად საერთაშორისო სტანდარტებს. სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის განსხვავება თანმიმდევრულია და შეესაბამება საერთაშორისო უნივერსიტეტების მსგავსი სამაგისტრო პროგრამების ძირითადი კურსების მაგალითებს.
პროგრამის მიზნები შეესაბამება გამჭვირვალობის სტანდარტებს იმდენად, რამდენადაც აკმაყოფილებს საჯაროობის და ხელმისაწვდომობის კრიტერიუმებს: ისინი სათანადოდ არის წარმოდგენილი უსდ-ს ვებ-გვერდზე, განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროგრამისთვის სპეციალურად გამოყოფილ სივრცეში. აღნიშნული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სტუდენტების და / ან პოტენციური სტუდენტებისთვის სამაგისტრო პროგრამის მიზნების და სტრუქტურის გაცნობის მიზნით.
ადგილზე ვიზიტისას სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებთან (კერძოდ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან, სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანთან, სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან) განხორციელებულმა გასაუბრებებმა გამოავლინა, რომ პროგრამის მიზნები გაზიარებულია პროგრამაში ჩართული პირების მიერ. პროგრამის მიზნებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე გამოკითხული პირების პასუხებში არ გამოვლენილა არასწორი ინფორმაცია.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა;

- უსდ - ს და სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ-გვერდი;
- ადგილზე განხორციელებული გასაუბრებები (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები:

➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის სწავლის შედეგები სათანადოდ შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს ცოდნას, უნარებს და ავტონომიურობას, რომლებიც გათვალისწინებულია სასწავლო კურსების შინაარსში. უსდ-ს განსაზღვრული აქვს ათი ყოვლისმომცველი სწავლის შედეგი, რომლებიც თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი. მთლიანობაში, პროგრამის სწავლის შედეგები ეხება მსოფლიო პოლიტიკაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და უსაფრთხოების პრობლემებს,

რომლებიც მნიშვნელოვანია სტუდენტების პროფესიული უნარების ჩამოყალიბების და განვითარებისთვის.

პროგრამის სწავლის შედეგები გაზომვადია იმდენად, რამდენადაც ობიექტურია და შეესაბამება რაოდენობრივ მიზნებს. ისინი ასევე მიღწევადი და რეალისტურია, შედეგების მოცულობის და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკური ხასიათის გათვალისწინებით.

სწავლის შედეგები აკმაყოფილებს განათლების დონის მოთხოვნებს და ადგენს მოცემულ სფეროში უმაღლესი დონის სწავლების შესაბამის შედეგებს; ორიენტირებულია გლობალური პოლიტიკის და უსაფრთხოების კვლევების თეორიულ ცოდნაზე, მათ შორის სამეცნიერო კვლევის საფუძვლებზე და უსაფრთხოების კვლევებში გამოყენებულ მეთოდოლოგიურ მოთხოვნებზე.

ადგილზე ვიზიტის დროს დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები აკმაყოფილებს აღნიშნული სფეროს დასაქმების მოთხოვნებს. მათ აღნიშნეს, რომ კმაყოფილები არიან სტუდენტებისთვის შეთავაზებული სტაჟირებებით და განიხილავენ მათი დასაქმების შესაძლებლობას. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე სტუდენტებს ამზადებს განათლების შემდეგი საფეხურისთვის თეორიული და მეთოდოლოგიური თვალსაზრისით: ისინი იღებენ საბაზისო ცოდნას მეთოდოლოგიური კუთხით, რაც საშუალებას აძლევს სწავლა განაგრძონ განათლების შემდეგ საფეხურზე. ადგილზე ვიზიტის დროს კურსდამთავრებულებთან განხორციელებული გასაუბრების დროს გამოვლინდა, რომ ორი კურსდამთავრებული სწავლას აგრძელებდა დოქტორანტურის საფეხურზე. სწავლის შედეგები შეესაბამება დარგის თავისებურებებს და შრომის ბაზრის მოთხოვნებს, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი მოიცავენ გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების თეორიულ ჩარჩოს და სპეციფიკურ პრობლემებს, მათი კრიტიკული გააზრების და განვითარების, ასევე შესაბამისი კვლევის მეთოდების გამოყენების ანალიზის ხელშეწყობით.

ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებისას ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ შესაბამისი დაინტერესებული მხარეები (აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები, მაგრამ არა სტუდენტები) თანამშრომლობითი პროცესის ფარგლებში მონაწილეობდნენ სწავლის შედეგების შემუშავებაში. აღნიშნული ასევე ხაზგასმული იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან შეხვედრისას. გაურკვეველი იყო, ეცნობა თუ არა მონაწილე დაინტერესებულ მხარეებს თანამშრომლობითი პროცესის შედეგი.

სხვადასხვა კურსის (სავალდებულო და არჩევითი) და სფეროების (სამხედრო, ეკონომიკური და ინფორმაციული უსაფრთხოება) სწავლის შედეგები დაჯგუფებულია კლასტერულად, რომლებიც თანმიმდევრულია შინაარსის და სირთულის თვალსაზრისით. იმ კურსებისთვის, რომლებიც მოითხოვს ცოდნის და ანალიზის უფრო მაღალ დონეს დადგენილია პრერეკვიზიტები, რაც საბაზისო, შუალედურ და მაღალი დონის სწავლებას შორის განსხვავების საფუძველზე ქმნის კურსების ყოვლისმომცველ სისტემას.

მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიში მოიცავს ინფორმაციას საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პირთა ჩართულობის და დაინტერესებული მხარეების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების შესახებ, ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული

გასაუბრებების დროს არ გამოვლინდა მკაფიო მტკიცებულება იმის თაობაზე ხორციელდება თუ არა შესაბამისი მექანიზმების გამოყენებით სწავლის შედეგების შესახებ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამა / კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლების მოთხოვნების ანალიზი;
- კურსდამთავრებულების უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე პროგრესიის მაჩვენებელი;
- ვებ-გვერდი;
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	X	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგების შეფასება (სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტები) ყოვლისმომცველი და გამჭვირვალეა. ჩამოყალიბებულია ობიექტური კრიტერიუმები და მკაფიო და მიღწევადი მიზნებით შედგენილია დეტალური შესაბამისობის ცხრილი სწავლის შედეგებს და თითოეულ სასწავლო კურსს შორის. არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სწავლის შედეგების გადახედვის პროცესის პერიოდულობის შესახებ.

სწავლის შედეგების შეფასების სისტემა შეესაბამება დარგისთვის და განათლების დონისთვის განსაზღვრულ მოთხოვნებს, გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების მეთოდები, რომლებიც იძლევა ზუსტ ინფორმაციას სტუდენტების მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ. სწავლის შედეგების ათ კომპონენტს და თითოეულ სასწავლო კურსს შორის შესაბამისობის ცხრილი იძლევა სიღრმისეულ ინფორმაციას სხვადასხვა სწავლის შედეგებთან კომბინაციით თითოეული კურსის ბუნების და სპეციფიკის შესახებ. ხელმისაწვდომია ვრცელი ჯვარედინი შედარება, რაც იძლევა სხვადასხვა სასწავლო კურსის განსხვავებული სწავლის შედეგების გაგების შესაძლებლობას. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების განაწილება შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის საერთო მიზნებს და სწავლის სფეროში არსებულ საერთაშორისო სტანდარტებს.

"თვითშეფასების ანგარიში" ხაზს უსვამს სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებულმა გასაუბრებებმა ვერ უზრუნველყო სხვადასხვა დაინტერესებული მხარის, განსაკუთრებით დამსაქმებლების და სტუდენტების წარმომადგენლების როლის გარკვევა. მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტი აღნიშნავს პერიოდულ გადახედვას, არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია ასეთი გადახედვის დროითი ინტერვალის შესახებ.

თითოეული სწავლის შედეგისთვის დადგენილია სამიზნე ნიშნულები და ხორციელდება სწავლის შედეგების შეფასების და შედარების შედეგების ყოვლისმომცველი მონიტორინგი სამიზნე ნიშნულებთან მიმართებით. ინფორმაცია ხელმისაწვდომია დოკუმენტში "პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი". დოკუმენტი მოიცავს მონიტორინგის განხორციელების პროცესის დეტალურ განმარტებას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მეთოდოლოგია გონივრულია და არსებული პროცესები იძლევა სწავლის შედეგების სიღრმისეული მონიტორინგის შესაძლებლობას. პოტენციურად, სწავლის შედეგების გადახედვის მიზნით უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ხელმისაწვდომია შესაბამისი რესურსები.

პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი იცნობს სწავლის შედეგების შეფასების მეთოდებს, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებების დროს. როდესაც დაისვა კითხვა სწავლის შედეგების შეფასებასთან დაკავშირებული პროცედურის შესახებ, მიღებულ იქნა დამაკმაყოფილებელი პასუხები. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, აკადემიური პერსონალისთვის პროცესი გამჭვირვალე და ღიაა.

უსდ - ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები (განსაკუთრებით "თვითშეფასების ანგარიში") მიუთითებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალი იღებს შესაბამის ტრენინგს და დახმარებას სწავლის შედეგების შემუშავების, გაზომვისა და

ანალიზისთვის. ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებებისას ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო სანდო ინფორმაცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.
"თვითშეფასების ანგარიშის" თანახმად, უსდ ვალდებულებას იღებს უზრუნველყოს, რომ დაინტერესებული მხარეები იცნობენ სწავლის შედეგების ანალიზს. ადგილზე ვიზიტის დროს აკადემიურ პერსონალთან განხორციელებულმა გასაუბრებამ გამოავლინა, რომ ისინი ინფორმირებულნი არიან აღნიშნული პროცესის შედეგების შესახებ, თუმცა მათ ვერ შეძლეს მონიტორინგის პროცედურის შესახებ დამატებითი დეტალების თაობაზე ინფორმაციის მოწოდება.
ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებებიდან (განსაკუთრებით უსდ-ს ადმინისტრაციასთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან) გამოიკვეთა, რომ ხორციელდება ყოვლისმომცველი სტრატეგია, რომელიც მოიცავს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებას ერთიანი პროცესის ფარგლებში. "თვითშეფასების ანგარიშში" აღნიშნულია, რომ პროგრამის შინაარსში, სწავლის შედეგებში, შეფასების სისტემაში და სასწავლო რესურსებში ცვლილებების განხორციელების მიზნით უზრუნველყოფილია შემდგომი პროცესი, როდესაც აღნიშნული პროცესის საფუძველზე რეკომენდებულია ცვლილებების განხორციელება. ადგილზე ვიზიტისას ადმინისტრაციამ ხაზი გაუსვა აღნიშნული ყოვლისმომცველი შეფასების მიმართ ვალდებულებას, რაც მიჩნეულია როგორც საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი გაუმჯობესების განუყოფელი ნაწილი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის;
- საგანმანათლებლო პროგრამის / კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების გეგმა;
- სწავლის შედეგების შეფასების შედეგები და ანალიზი;
- სწავლის შედეგების შეფასების ინსტრუმენტები და მასალები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- სამიზნე ნიშნულები;
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები (ადმინისტრაცია, პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	X	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

7. პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
8. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამა შემუშავებულია უსდ - ს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების სტრატეგიის შესაბამისად, პროგრამის მკაფიო სოციალური გავლენის გათვალისწინებით (რაც შეესაბამება უსდ-ს ინტერესს უნივერსიტეტის სწავლების საზოგადოებასთან დაკავშირების თვალსაზრისით) და სამაგისტრო პროგრამის და თავად უსდ - ს საერთაშორისო ხილვადობის ხელშეწყობით. ინგლისურ ენაზე სწავლების შესაძლებლობა შეესაბამება უსდ - ს საერთაშორისო მიმზიდველობას. აღნიშნული ასპექტი ხაზგასმული იყო ადმინისტრაციის მიერ ადგილზე ვიზიტის დროს. ფაკულტეტის დეკანმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე ხაზი გაუსვეს პერსონალის ორი მოწვეული წევრის როლს საგანმანათლებლო პროგრამის საერთაშორისო ხილვადობის ხელშეწყობაში.
პროგრამის შინაარსი და სირთულე შეესაბამება სწავლების საფეხურის მოთხოვნებს იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებულია სწავლის სფეროს საერთაშორისო სტანდარტები და სხვა საორიენტაციო საერთაშორისო პროგრამები. შინაარსი შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდებას და მაგისტრატურის საფეხურს. ოთხი სემესტრის ხანგრძლივობა შეესაბამება მაგისტრატურის დონეს.
პროგრამის დიზაინი შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS), არა მხოლოდ იმიტომ, რომ სწავლების და სტუდენტების სამუშაო დატვირთვის გაზომვა ხორციელდება ECTS სისტემის მიხედვით, არამედ იმიტომაც, რომ ECTS კრედიტების რაოდენობა (120) შეესაბამება განათლების საფეხურის და დარგის საერთაშორისო სტანდარტებს.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა გამოირჩევა ორიგინალურობით. უსაფრთხოების და გლობალური კვლევების სფეროში თანამედროვე გამოწვევებზე აქცენტი (მაგალითად, კიბერუსაფრთხოება და თავდაცვა, ჰიბრიდული ომი, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოება და მასობრივი განადგურების იარაღი) შეესაბამება დარგში არსებულ უახლეს საერთაშორისო ტენდენციებს. გარდა ამისა, აღნიშნული წარმოადგენს იმის მტკიცებულებას, რომ უსდ ზრუნავს საქართველოს წინაშე მდგარ გეოპოლიტიკურ გამოწვევებზე, რაც განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს უსაფრთხოების დაცვაზე რეგიონულ კონტექსტში.

პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა აკმაყოფილებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. ერთი მხრივ, სავალდებულო და არჩევით სასწავლო კურსებში პროგრამის სტრუქტურა, ხანგრძლივობა და შიდა ორგანიზება შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს მსგავსი სამაგისტრო პროგრამების შესწავლისას. მეორე მხრივ, ჩამოყალიბებულია საფუძვლიანი პროცედურა, რომლის მიზანია კურსების შინაარსის და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება თითოეულ კურსს. აღნიშნული მიზნით ხორციელდება მონიტორინგის შიდა მექანიზმები, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ არ ფიქსირდება შეუსაბამობები თითოეული კურსის შინაარსსა და პროგრამის შესაბამის სწავლის შედეგებს შორის.

სავალდებულო და არჩევითი კურსების სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს იმდენად, რამდენადაც მკაფიოდ არის გამიჯნული სავალდებულო და არჩევითი კურსების რელევანტურობა. სავალდებულო და არჩევით კურსებს შორის განსხვავება (და კურსების შერჩევა აღნიშნული განსხვავების შესაბამისად) თანმიმდევრულია და შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს. პროგრამის სწავლის შედეგები ასახავს ორივე კატეგორიის კურსების განსხვავებას, მიუთითებს (ზოგადად) შუალედურ მიზნებზე, რომლებიც დაკავშირებულია მრავალ სავალდებულო კურსთან (განსაკუთრებით საგანმანათლებლო პროგრამის პირველ წელს) და მოწინავე დონის ცოდნასთან, რაც დამახასიათებელია მეორე წლის სავალდებულო და არჩევითი კურსებისთვის.

პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრულია, ვინაიდან ლოგიკურად არის ორგანიზებული სწავლების და სამეცნიერო კვლევის ასპექტები, მათ შორის თითოეული ინდივიდუალური კურსი (1.5 კომპონენტში აღწერილი ნახსენები გამონაკლისების გარდა). წინაპირობების სპეციფიკაცია, რომელიც საბაზისო კურსებს აკავშირებს უფრო მაღალი დონის კურსებთან, აძლიერებს პედაგოგიურ ზრუნვას იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესაბამისი ცოდნის გარეშე სტუდენტები არ გადავიდნენ უფრო მაღალი დონის კურსებზე. მთლიანობაში, საგანმანათლებლო პროგრამის შიდა ორგანიზება, ითვალისწინებს სტუდენტების განვითარების ინტერესებს.

პროგრამა, გარკვეული დათქმებით (იხილეთ 1.5 კომპონენტი), ითვალისწინებს ახალ კვლევით მიგნებებს და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურის ორიგინალურობა, როგორც ზემოთ აღინიშნა (იხილეთ (iv) ამ ნაწილში), წარმოადგენს აღნიშნულის ინსტრუქციულ მტკიცებულებას. აკადემიური პერსონალის მიერ განხორციელებული კვლევების წახალისება და განსაკუთრებით შიდა სახელმძღვანელოების გამოცემის სტიმულირება ადასტურებს უსდ - ს მიდგომას დარგში უახლესი კვლევების და სამეცნიერო მიღწევების მიმართ. ამავდროულად, უსდ მგრძნობიარეა დარგის მიმდინარე განვითარების მიმართ, რომელიც ძლიერად არის მიდრეკილი საერთაშორისო სისტემის განვითარებებისადმი. თუმცა, როგორც 1.5 კომპონენტშია აღნიშნული, შეინიშნება გარკვეული

შეუსაბამობები უახლესი სამეცნიერო ტენდენციების მიდევნების სურვილში და რამდენიმე კურსში მოძველებულ სავალდებულო და დამატებით ლიტერატურას შორის.

პროგრამის შინაარსი სათანადოდ შეესაბამება ინტერნაციონალიზაციის ძირითად საკითხებს: პროგრამა არა მხოლოდ შეესაბამება დარგის და განათლების დონის უახლეს საერთაშორისო განვითარებებს, არამედ ეხება კრიტიკულ საკითხებს, რომლებიც გამომდინარეობს უსაფრთხოების და გლობალური პოლიტიკის კვლევების სფეროში არსებული თანამედროვე გამოწვევებიდან. უსდ ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე, როგორც ინგლისურენოვანი სწავლების ხელშეწყობით, ასევე პროგრამის ორგანიზებასა და აკადემიური წლის სასწავლო აქტივობებში მაღალი საერთაშორისო პროფილის მქონე მოწვეული აკადემიური პერსონალის ჩართვით.
პროგრამის განვითარება ეყრდნობა თანამშრომლობით პროცესს შესაბამისი დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (აკადემიური და მოწვეული პერსონალი და დამსაქმებლები). მიუხედავად იმისა, რომ "თვითშეფასების ანგარიში" ხაზს უსვამს სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით აღნიშნული პროცესის თანამშრომლობით ხასიათს, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ცხადად ვერ დაადასტურა საგანმანათლებლო პროგრესის განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობა. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფი ცალსახად ვერ ასკვნის, რომ დამსაქმებლები არ არიან ჩართულები ამ პროცესში, ვინაიდან დამსაქმებლებთან შეხვედრის ბოლოს გაჩნდა გარკვეული ეჭვი აღნიშნულ პროცესში მათი როლის გაგებასთან დაკავშირებით.
ინფორმაცია პროგრამის შესახებ საჯაროა და ხელმისაწვდომია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდზე. ინფორმაცია ვრცელია, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და გასაგებია საზოგადოებისთვის, ხელმისაწვდომია პროგრამის სტრუქტურა და შეფასების შესახებ ინფორმაცია. ვებ - გვერდზე შესაბამისი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ადასტურებს, თუ როგორ ზრუნავს უსდ არა მხოლოდ პოტენციური სტუდენტების მოზიდვაზე, არამედ გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია და/ან წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამა თანდართული სილაბუსებით;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- პროგრამის შემუშავებაში დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- პროგრამის ინტერნაციონალიზაციის ხელშემწყობი აქტივობები და კომპონენტები; მაგალითად: უცხოენოვანი ლიტერატურის, სამეცნიერო სტატიების გამოყენება, საგნების უცხო ენაზე მიწოდება; პროგრამის სტრუქტურის და შინაარსის შედარება საზღვარგარეთის ანალოგებთან; უცხოელი პერსონალის ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში და განვითარებაში;

- ვებ-გვერდი;
- ადგილზე ვიზიტის დროს განხორციელებული გასაუბრებები (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, ხელმძღვანელები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	X	☐	☐	☐

1.5. სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
➢ ძირითადი სასწავლო დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს: პროგრამის სწავლის შედეგების და სწავლის შედეგებთან დაკავშირებული რამდენიმე საინფორმაციო წყაროს ჯვარედინი შემოწმება თანმიმდევრულია.
როგორც თითოეული კურსის სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების ანალიზიდან იკვეთება სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის სწავლის შედეგების დეტალური განმარტება და რუკა, რომელიც ახორციელებს პროგრამის სწავლის შედეგების სისტემატურ ანალიზს თითოეული

კურსის სპეციფიკური ხასიათის და საჭიროებების შესაბამისად, აძლიერებს თანხვედრას სწავლის შედეგებს და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის.
ECTS კრედიტების რაოდენობა შეესაბამება თითოეული კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს, ასახავს სხვადასხვა სამუშაო დატვირთვას, რომელიც გონივრულად არის დადგენილი თითოეული კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების თანაფარდობა საკმაოდ გონივრულია და ითვალისწინებს კურსების სპეციფიკურ მახასიათებლებს. საკონტაქტო საათების რაოდენობა შეესაბამება ყველა კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს.
"თვითშეფასების ანგარიშის" თანახმად, თითოეული კურსის სწავლის შედეგი ექვემდებარება პერიოდულ შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფისთვის გაურკვეველია პერიოდული შეფასების განხორციელების დროის მონაკვეთი, ვინაიდან აღნიშნული თვალსაზრისით ორაზროვანია ადგილზე ვიზიტის შედეგი (განსაკუთრებით შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან).
სავალდებულო ლიტერატურა და სილაბუსებში ჩამოთვლილი სხვა სწავლება - სწავლის რესურსები ზოგადად შეესაბამება კურსების სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, გარკვეული დათქმებით (იხილეთ ქვემოთ). ზოგიერთ კურსში (იხილეთ ქვემოთ), სილაბუსებში ჩამოთვლილი სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სწავლება - სწავლის რესურსები სრულად არ შეესაბამება დარგში არსებულ მიღწევებს და არ მოიცავს შესაბამისი სფეროს უახლეს კვლევებს.

გამოვლენილია გასაუმჯობესებელი ორი სფერო: სავალდებულო და არჩევითი კურსების ლიტერატურა და შინაარსის დიზაინი.

1. საკითხავი მასალა (იხილეთ (v), ზემოთ):

1.1. სავალდებულო კურსები:

(i) **ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი**. ლიტერატურა მოძველებულია. მითითებული წყაროები არ არის ყველაზე რელევანტური აღნიშნული სფეროსთვის.

(ii) **ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგია.** სავალდებულო ლიტერატურა არ არის განახლებული და თანამედროვე. დამატებითი ლიტერატურისთვის მითითებულია მხოლოდ ერთი წყარო, რაც რეკომენდებულზე ნაკლებია.

(iii)**სამხედრო სტრატეგია და გლობალიზაცია.** სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას (მითითებულია მხოლოდ 2023 წლის ერთი წყარო; დანარჩენი კი ყველაზე ახალი არის 2015 წლის). იგივე ეხება დამატებით საკითხავ მასალას.

(iv)**ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები.** სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას. ახალ წყაროებს შორის წარმოდგენილია მხოლოდ 2018 წლის და 2017 წლის წყაროები. უმეტესი ლიტერატურა გაცილებით ძველია. ასევე განახლებას საჭიროებს დამატებითი ლიტერატურაც (ყველაზე ახალი არის 2014 წლის). ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს სამაგისტრო პროგრამის მნიშვნელოვან სფეროს, რომელიც მუდმივად ვითარდება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია ლიტერატურის განახლება.

(v)**ეროვნული უსაფრთხოების კვლევების და სტრატეგიული დაგეგმვის ანალიზი.** სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას (ახალ წყაროებს შორის მხოლოდ ერთი წყაროა 2020 წლის). დამატებითი ლიტერატურა საჭიროებს მნიშვნელოვან განახლებას (ყველაზე ახალი არის 2006 წლის).

(vi)**ახალი უსაფრთხოების გამოწვევების თეორია და პრაქტიკა.** დამატებითი ლიტერატურა საჭიროებს განახლებას (ყველაზე ახალი არის 2011 წლის).

(vii)**გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები.** ირვინი, მავროიდისი და საიკსი დამატებითი ლიტერატურიდან უნდა გადავიდეს სავალდებულო ლიტერატურაში.

(viii)**გლობალური პოლიტიკის პრობლემები.** დამატებითი ლიტერატურა მოძველებულია.

(ix)**რეგიონული უსაფრთხოების კვლევები.** ერთი წყაროს გარდა (2023), მოძველებულია სხვა სავალდებულო წყაროები (ყველაზე ახალი არის 2014 წლის). მოძველებულია დამატებითი ლიტერატურაც (ყველაზე ახალი არის 2014 წლის).

1.2. არჩევითი კურსები:

(i)**ომის ხელოვნება და სტრატეგია.** დამატებითი ლიტერატურა მოძველებულია (ყველაზე ახალი არის 2013 წლის).

(ii) **გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა.** წარმოდგენილია წყაროების ძალიან შეზღუდული რაოდენობა (2 ძირითადი წყარო და 4 დამატებითი ლიტერატურა), რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება მისაღებ ზღვარს. გარდა ამისა, ისინი მოძველებულია (ყველაზე ახალი არის 2016 წლის).

(iii)**პოლიტიკური კომუნიკაცია.** ლიტერატურა მოძველებულია: სავალდებულო წყაროებს შორის ყველაზე ახალი არის 2016 წლის. დამატებითი ლიტერატურის ყველაზე ახალი წყარო არის 2017 წლის.

(iv) **გეოეკონომიკური ომი და სახელმწიფოებრიობა.** მე-2 ლექციაში (პოლიტიკის და პოლიტიკური ეკონომიკის არსი; პოლიტიკის და ეკონომიკის სფეროების გადაკვეთა; პოლიტიკური გადაწყვეტილებების გავლენა ეკონომიკაზე; მსოფლიო ეკონომიკის შექმნის რამდენიმე ისტორიული და ეკონომიკური ასპექტი) და მე-3 ლექციაში (პოლიტიკური ეკონომიკის თეორიულ - კონცეპტუალური ასპექტები და მისი იდეოლოგიური საფუძველი: მარქსიზმი და ნეომარქსიზმი, ნეომერკანტილიზმის თეორია, ლიბერალიზმი, კრიტიკული თეორია, კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია, უსაფრთხოების თეორია, სოციალური კონსტრუქტივიზმი) რეკომენდებულია, რომ ძირითადი საკითხავი მასალა წარმოდეგნილი იყოს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკიდან.

(v) **მასობრივი განადგურების იარაღის სამართლებრივი ჩარჩო**. ზოგიერთი სავალდებულო ლიტერატურა შეიძლება გადატანილ იქნას დამატებით ლიტერატურაში. უმეტესობა მოძველებულია.

(vi)**ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიების მიმოხილვა და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით:** წარმოდგენილია სავალდებულო ლიტერატურის შეზღუდული სია და დამატებითი ლიტერატურის მწირი სია.

(vii)**ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი.** სავალდებულო ლიტერატურა მწირია (წარმოდგენილია მხოლოდ 3 წყარო). ლიტერატურა ძირითადად მოძველებულია. წარმოდგენილია მხოლოდ 1973 წლის ერთი დამატებითი მასალა.

(viii)**რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოება.** სავალდებულო ლიტერატურა საჭიროებს განახლებას (ყველაზე ახალი არის 2015 წლის). წარმოდგენილია მხოლოდ ერთი დამატებითი ლიტერატურა (რომელიც წარმოდგენილი უნდა იყოს სავალდებულო ლიტერატურაში).

(ix)**ტერორიზმი და კონტრტერორიზმი.** წარმოდგენილია სავალდებულო ლიტერატურის მწირი და მოძველებული სია (ყველაზე ახალი არის 2011 წლის). დამატებითი ლიტერატურის სია უფრო საინტერესოა.

2. შინაარსის დიზაინი (და სხვა შენიშვნები კურსების სილაბუსებთან დაკავშირებით, იხილეთ (vi) ზემოთ):

2.1. ზოგადი შენიშვნები:

რამდენიმე კურსს (12) გააჩნია სწავლების და სწავლის მეთოდების ერთი და იგივე განმარტება: "სტუდენტის და ლექტორის ურთიერთობა განისაზღვრება პრინციპით - "უნივერსიტეტი არის სტუდენტის და პროფესორის კავშირი, რომელიც ორიენტირებულია პიროვნების განვითარებაზე და საზოგადოების კეთილდღეობაზე." კურსი ორიენტირებულია ინდივიდის (მაგისტრანტის) ინტერესებზე და მოტივაციაზე და წარმოადგენს პიროვნულობაზე ორიენტირებული პედაგოგიკის მაგალითს. შესაბამისად, წინასწარ ხორციელდება მაგისტრანტების ინტერესების საფუძვლიანი კვლევა, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ თვითგამორკვევას. მოტივაცია ზრდის მათი ნაშრომების ხარისხს და ამცირებს პროფესიული დეფიციტის ალბათობას. აღნიშნული უნდა იყოს ყოვლისმომცველი ფორმულირება (ყველა კურსისთვის) კურსების თანმიმდევრულობის შესაქმნელად, ან როგორც ჩანს, აღნიშნული არის მხოლოდ კურსიდან კურსში კოპირება. შესაბამისად, საჭიროა გადახედვა.

რამდენიმე კურსში მითითებულია, რომ სწავლების მეთოდებს შორის გამოიყენება "მენტალური შეტევა". აღნიშნული ტერმინი არის ქართულიდან ინგლისურად არასწორი თარგმანი. მართლაც, პროგრამის დოკუმენტის მე-7 გვერდზე ნახსენებია "მენტალური მონახაზი", როგორც ერთ-ერთი სწავლების მეთოდი, რომელიც შეიძლება გამოიყენონ ლექტორებმა. არაზუსტი ფორმულირება აუცილებლად უნდა გასწორდეს, რათა თავიდან იყოს აცილებული სტუდენტების მხრიდან ორაზროვანი გაგება.

2.2. სავალდებულო კურსები:

(i) **ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი.** კურსის შინაარსი მეტნაკლებად არის დაკავშირებული კურსის სახელწოდებასთან. ის უფრო მეტად ჰგავს გლობალიზაციის შესავალს. რეკომენდებულია შინაარსის გადამუშავება იმგვარად, რომ მოიცვადეს კურსის სახელწოდებასთან დაკავშირებულ საკითხებს. გარდა ამისა, მე-10 ლექციაში (საერთაშორისო ეკონომიკური და საფინანსო ორგანიზაციები და ეკონომიკური უსაფრთხოება), გამოთქმა "საფინანსო ინსტიტუტები" უნდა ითარგმნოს საყოველთაოდ მიღებული ტერმინის შესაბამისად.

(ii) **ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზები.** კურსის სახელწოდება უნდა იყოს "ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზი". ჰიბრიდული ომის ისტორიული ასპექტები (მეოთხე ლექცია) უნდა იკითხებოდეს თეორიული მიდგომის (მესამე ლექცია) წინ. მე-11 ლექცია (ჰიბრიდული ომი: კიბერ ომი და ინტერნეტი) გარკვეულწილად ემთხვევა კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საფრთხეების ანალიზის კურსის ლექციებს.

(iii) **ინფორმაციული უსაფრთხოების სტრატეგია.** კურსის მიზნებში აღნიშნულია, რომ " სტუდენტმა უნდა გააანალიზოს ინფორმაციულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხები, მათ შორის კიბერუსაფრთხოების სფეროში ჰიბრიდული საფრთხეების მაგალითზე". აღნიშნული ფარავს კურსს "კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საფრთხეების ანალიზი". რეკომენდებულია მიზნების გადახედვა იმის მითითებით, რომ კიბერუსაფრთხოება გადამოწმებულია ინფორმაციასთან და უსაფრთხოებასთან კავშირში.

(iv) **ახალი უსაფრთხოების გამოწვევების თეორია და პრაქტიკა.** კურსის მიზნებში ხაზგასმულია, რომ "დღესდღეობით ასეთი საფრთხეები უკავშირდება "ასიმეტრიის" კონცეფციას. ასიმეტრია ან უფრო ზუსტად რომ ითქვას, ჰიბრიდული საფრთხეები შეიძლება განხილულ იქნას სწორედ აღნიშნულ გარემოებებში". აღნიშნული ფარავს "კიბერუსაფრთხოების და კიბერთავდაცვის საფრთხეების ანალიზის" კურსის მე-3 ლექციას. გარდა ამისა, მე-13 ლექცია ("კიბერომი და ახალი კოსმოსური უსაფრთხოება") ფარავს "ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზების" კურსის მე-11 ლექციას.

(v)**გლობალური პოლიტიკის პრობლემები.** მე-10 ლექცია ("გლობალური პრობლემები: გლობალიზაციის ფაქტორები, გლობალური პოლიტიკური ეკონომიკა, გლობალური სიღარიბე და საყოველთაო კეთილდღეობა, გლობალური მიგრაციის მიზეზები") ფარავს ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზის კურსის შინაარსის გარკვეულ ნაწილს. გარდა ამისა, მე-4 ლექციაში განხილული საერთაშორისო სამართლის შემდეგ, მე - 11 ლექციაში შინაარსი უბრუნდება იმავე საკითხს.

2.3. არჩევითი კურსები:

(vi) **ომის ხელოვნება და სტრატეგია.** მოსალოდნელია, რომ კურსდამთავრებულებს "ექნებათ შესაძლებლობა დააფუძნონ ახალი პროფესიული ინტერესების საფუძველზე შექმნილი გაერთიანებები" (კურსის მიზნებიდან). აღნიშნული ფორმულირება ეფუძნება არასწორ თარგმანს ქართულიდან ინგლისურად, ვინაიდან ის მოკლებულია აზრს.

(vii)**გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა.** მეცხრე დან და მეცამეტე ლექციებს შორის, შინაარსი ორიენტირებულია აშშ-სთან დაკავშირებულ რამდენიმე საკითხზე. ზოგიერთი მათგანი ემთხვევა ერთმანეთს. გარდა ამისა, გაუგებარია მეთხუთმეტე ლექციის სათაური ("გეოეკონომიკური მაქსიმები") ვინაიდან გამოთქმა "გეოეკონომიკური მაქსიმები" არ არის დამკვიდრებული სტანდარტულ ლიტერატურაში.

(viii) **ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული გადაცემის კონტროლის ეროვნული მექანიზმები.** მე-3 ლექცია (სტრატეგიულ საქონელზე საერთაშორისო ვაჭრობის კონტროლის მექანიზმების განვითარების ისტორია) უნდა იკითხებოდეს მე-2 ლექციამდე (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის საერთაშორისო ინსტრუმენტები ეროვნულ კანონმდებლობაში).

(ix) **ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიების მიმოხილვა და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით: კურსის მიზნებიდან:** "(...) მთავარი მიზანი არის იმის გაცნობიერება, რომ ეროვნული და გლობალური უსაფრთხოების გასაძლიერებლად აუცილებელია ექსპორტის კონტროლის ეფექტური სისტემის, განახლებული წესების და საკონტროლო სიების, ასევე სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის სერტიფიცირებაზე ეფექტური კონტროლის არსებობა. ინგლისურენოვან ვერსიაში გამოყენებულია ტერმინი "Objection - წინააღმდეგობა" რომელიც უნდა შეიცვალოს ტერმინით "Objective - მიზანი", სტუდენტის მხრიდან არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით.

(x) **ტერორიზმი და კონტრტერორიზმი.** მესამე ლექცია (ტერორიზმი: გუშინ, დღეს და ხვალ - ისტორიული საწყისები) უნდა იკითხებოდეს მეორე ლექციამდე (კონტრტერორისტული სტრატეგიის გეოპოლიტიკური ასპექტები). მეხუთე ლექცია

(საერთაშორისო ტერორიზმი - მისი საწყისები და ისტორია) შინაარსობრივად ემთხვევა მესამე ლექციას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- კურსების სილაბუსები;
- სასწავლო გეგმის რუკა;
- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო მასალები / რესურსები, სილაბუსებში მითითებული საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები;
- ადგილზე განხორციელებული გასაუბრებები (პროგრამის ხელმძღვანელი, აკადემიური პერსონალი, სტუდენტები).

რეკომენდაციები:

1. რეკომენდებულია, განახლდეს შემდეგი სასწავლო კურსების მასალები: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, სამხედრო სტრატეგია და გლობალიზაცია, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები, ეროვნული უსაფრთხოების კვლევები ანალიზი და სტრატეგიული დაგეგმვა, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები და გლობალური პოლიტიკის პრობლემები, რეგიონული უსაფრთხოების კვლევები (ყველა სავალდებულო კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, პოლიტიკური კომუნიკაცია, გეოეკონომიკური ომი და სახელმწიფოებრიობა, მასობრივი განადგურების იარაღის სამართლებრივი ჩარჩო, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიების მიმოხილვა და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ფსიქოლოგიური და დეზინფორმაციული ომი, რელიგია და საერთაშორისო უსაფრთხოება, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი).
2. რეკომენდებულია, ქვემოთ ჩამოთვლილი კურსების შინაარსის უმნიშვნელო კორექტირება არასწორი თარგმანის გამო, ან გადახედვა შიდა შეუსაბამობების თავიდან აცილების, ან შინაარსის გადაფარვის კორექტირების მიზნით: ეკონომიკური უსაფრთხოების ანალიზი, ჰიბრიდული ომი - თეორია და ანალიზი, საინფორმაციო უსაფრთხოების სტრატეგია, უსაფრთხოების ახალი გამოწვევების თეორია და პრაქტიკა და გლობალური პოლიტიკის პრობლემები (ყველა არჩევითი კურსი), ომის ხელოვნება და სტრატეგია, გეოპოლიტიკა და გეოეკონომიკა, ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული გადაცემის კონტროლის ეროვნული მექანიზმები, ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და

საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით, ტერორიზმი და კონტრტერორიზმი (ყველა არჩევითი კურსი).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დაწესებულებამ განიხილოს ჩამოთვლილი კურსების სახელწოდებების შემოკლებული, ალტერნატიული ვერსიები: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები სტრატეგიული საქონლის კონტროლის და საერთაშორისო ვაჭრობაზე დაწესებული შეზღუდვების შესახებ და ევროკავშირის სამხედრო და ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიები და საქონლის იდენტიფიკაცია ორმაგი დანიშნულების საქონლის კონტროლის სიის მიხედვით (პრაქტიკული შემთხვევები).

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5. სასწავლო კურსი/საგანი	☐	☐	X	☐

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტს, შემუშავებული აქვს "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო პროგრამაზე დაშვების გამჭვირვალე და სამართლიანი წინაპირობები. პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია ნებისმიერი პირისთვის, რომელსაც გააჩნია ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ნებისმიერ დეტალურ / სწავლის სფეროში.
კანდიდატმა, რომელსაც სურს "გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების" სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა, უნდა ჩააბაროს საერთო სამაგისტრო გამოცდა, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებული შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში და ინგლისური ენის ტესტი. უნივერსიტეტის გადაწყვეტილებით, სპეციალობის შიდა გამოცდის ნაცვლად შესაძლებელია ჩატარდეს გასაუბრება.
პროგრამაზე მიღების წინაპირობაა ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე. კანდიდატმა უნდა ჩააბაროს ინგლისური ენის ტესტი ან წარმოადგინოს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი სერტიფიკატი (TOEFL, IELTS, Cambridge Exam Proficiency Certificate არანაკლებ FCE).
პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წელიწადში ორჯერ საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი განრიგის ფარგლებში.
ასევე, სხვა აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან უცხო ქვეყნის უნივერსიტეტებიდან პროგრამაზე გადმოსვლა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელებთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	X	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ითვალისწინებს დარგის უახლეს მიღწევებს. პროგრამის კურსები შედგენილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარ- ჩვევების განვითარებას. პროგრამის მიზანია მოამზადოს შესაბამისი ანალიტიკური და შემოქმედებითი უნარ- ჩვევების მქონე კვალიფიციური სპეციალისტები უსაფრთხოების კვლევების სფეროში არა მხოლოდ სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, არამედ სამეცნიერო ორგანიზაციებისთვისაც.

პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დაკავშირებულია პრაქტიკასთან, რომლის გავლის შემდეგ, მეოთხე სემესტრში სტუდენტი ითვისებს 10 კრედიტს. სტაჟირების მიზანს წარმოადგებს გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში მუშაობა. თეორიის პრაქტიკასთან მჭიდრო ინტეგრაცია ამზადებს სტუდენტებს მომავალი პროფესიული საქმიანობისთვის გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების სფეროში. პრაქტიკულ კომპონენტს ხელმძღვანელობს უნივერსიტეტის წარმომადგენელი, რომელიც პასუხისმგებელია სტაჟირების განხორციელებაზე. ხელმძღვანელი ან მენტორი ეხმარება სტუდენტს პრაქტიკის განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემების გადაჭრაში.

კვლევითი კომპონენტი პროგრამის მიერ შეთავაზებულია რამდენიმე კურსის სახით, რომლებიც ავითარებს კვლევით და ანალიტიკურ უნარ- ჩვევებს. ეს კომპონენტი მოიცავს რამდენიმე კურსს, როგორიცაა აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები უსაფრთხოების კვლევებში, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და დაცვა. ეს კურსები მიზნად ისახავს ანალიტიკური, კრიტიკული აზროვნების განვითარებასა და მაგისტრანტთა კვლევითი უნარების გაუმჯობესებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სტუდენტთა კვლევითი უნარების განვითარება მათი კვლევით პროექტებში ჩართვის გზით. უნივერსიტეტი გეგმავს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლის ძირითადი მიზანია ახალგაზრდა მკვლევართა წახალისება, სტუდენტების კვლევაში ჩართვა სწავლის ადრეული ეტაპიდან.

უნივერსიტეტი რამდენიმე ღონისძიებით უჭერს მხარს ახალგაზრდა მეცნიერებს, კერძოდ:

1. ფუნდამენტური კვლევებისა და მცირე სამეცნიერო გრანტების კონკურსი; უნივერსიტეტის პერსონალისთვის სავალდებულოა პროექტში სულ მცირე ერთი სტუდენტის ჩართვა, რაც ამ უკანასკნელს უვითარებს კვლევით უნარ-ჩვევებს;
2. ახალგაზრდა მკვლევართა თანადაფინანსება სხვადასხვა საერთაშორისო და ადგილობრივი გრანტების მოსაზიდად;
3. ახალგაზრდა მეცნიერთა ინდივიდუალური ინიციატივების მხარდაჭერა მათი აკადემიური კარიერის განვითარებისთვის.

2018 წლიდან კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში დაარსდა გრანტების დაფინანსების სისტემა, რომელიც აკადემიურ პერსონალს სთავაზობს მცირე სამეცნიერო გრანტებსა და ფუნდამენტურ კვლევით გრანტებს, რომლებშიც კსუ-ს სტუდენტები და/ან კურსდამთავრებულები მონაწილეობენ.

აგრეთვე, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ყოველწლიურად წარმატებით იმართება სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია ბაკალავრიატის, მაგისტრატურისა და დოქტორანტურის სტუდენტებისთვის, რაც საშუალებას აძლევს კსუ- ს სტუდენტებს საჯაროდ წარმოადგინონ თავიანთი კვლევის შედეგები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- გასაუბრებები სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- კურსის სილაბუსები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2. 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	X	☐	☐	☐

2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებული სწავლება- სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების დონეს, კურსის შინაარსს და სწავლის შედეგებს. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება კონკრეტული სასწავლო კურსების პროგრამულ მიზნებსა და შინაარსს.

სწავლება-სწავლის ყველა მეთოდი შეესაბამება ძირითად მიზნებსა და კონკრეტული სასწავლო კურსების შინაარსს.

პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები: ზეპირი მეთოდი, რომელიც მოიცავს ლექციას, თხრობას და საუბარს, აგრეთვე დისკუსიებს, რომლებიც შეიძლება გადაიზარდოს დებატებში, კოოპერაციული სწავლება, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, შემთხვევის შემსწავლა, წიგნზე მუშაობა (ძირითადად კრიტიკული აზროვნების მეთოდი), ჯგუფური მუშაობა, როლური თამაშები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, გონებრივი იერიში, ექსპერტული გამოკითხვა (ე.წ. დელფის მეთოდი), მონაწილეობრითი სწავლების მეთოდები, ანგარიშის წარდგენა, რომელიც მოიცავს წინა ლექციების, დისკუსიების, დებატების და ა.შ. შეჯამებას.

სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება პროგრამის სასწავლო გეგმას და სასწავლო პროცესში გამოყენებულ აქტივობებს.

ისინი ავსებენ ერთმანეთს და თავსებადია სხვა მეთოდებთან. აკადემიური პერსონალი შეიძლება იყენებდეს რამდენიმე ან სხვა აქტივობებს კონკრეტული სწავლის შედეგების შესაბამისად. არსებული მეთოდების კომბინაცია უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.
სწავლება- სწავლის მეთოდებში იგულისხმება სტრატეგიები და ტექნიკები, რომლებსაც პედაგოგები სწავლის პროცესის გასაადვილებლად იყენებენ. თითოეული მეთოდი ეფუძნება კურსის შინაარსს, საგნის თავისებურებებსა და სტუდენტების საჭიროებებს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სილაბუსები;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	X	☐	☐	☐

2.4. სტუდენტთა შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და კსუ-ს მიერ დადგენილ რეგულაციებს. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, სანდო და გასაგები პროგრამის სტუდენტებისთვის.
გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების პროგრამა იყენებს სწავლების სხვადასხვა მეთოდს და, შესაბამისად, სილაბუსებში შეფასების განსხვავებული მეთოდები გამოიყენება, როგორიცაა: ტესტები, შუალედური გამოცდა, ესე/ პრეზენტაცია, მცირე კვლევითი პროექტები, კეისის შესწავლა და დასკვნითი გამოცდა. დამკვიდრებული შეფასების სისტემა სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგის საშუალებას იძლევა, რაც გვაძლევს ფორმალურ და შემაჯამებელ შეფასებებს.
უნივერსიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ ითვალისწინებს კურსის ლექტორების რეკომენდაციებს შეფასების მეთოდებთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციები, მიუხედავად ამისა, უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას და უნივერსიტეტის რეგულაციებს.
ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა სთხოვა ადმინისტრაციას წვდომა მათ LMS პლატფორმაზე „გონი". სტუდენტური მხარდაჭერის მენეჯერმა წარმოადგინა პლატფორმა, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ მარტივად შეამოწმონ თავიანთი შეფასებები და GPA, შეაფასონ პედაგოგები, წარადგინონ სხვადასხვა სახის განცხადებები და ა.შ.
სამაგისტრო პროგრამების დებულებაში, უნივერსიტეტის შეფასების სისტემა გამჭვირვალეა და მოიცავს დაცვისა და ნაშრომის შეფასების სამართლიან პროცედურებს. აპელაციის მექანიზმები სტუდენტებს საშუალებას აძლევს წარადგინონ თავიანთი აპელაცია LMS პორტალის მეშვეობით.
პროგრამას გააჩნია პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმები. სკოლის საბჭო ადგენს პლაგიატის პროგრამაში ტექსტის მსგავსების მისაღებ პროცენტულ მაჩვენებელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
- გასაუბრებები აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- გასაუბრება სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4. სტუდენტთა შეფასება	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ- ის პროგრამაში ან/ და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სტუდენტს აწვდის იმ ცოდნას და მხარდაჭერას, რაც მას სჭირდება იმისთვის, რომ ჩამოაყალიბოს საკუთარი პროფილი, დაგეგმოს სწავლა და გააუმჯობესოს მიღწევები. ამ პერსონალში იგულისხმება დეკანი, ფაკულტეტის აკადემიური პროცესების მართვა, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

კოორდინატორი, ბიბლიოთეკა, ციფრული სერვისების განვითარების ოფისი, პროგრამის კოორდინატორი და პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი.
უნივერსიტეტი ხელს უწყობს კურსდამთავრებულებთან ღია კომუნიკაციას. პროგრამის კოორდინატორი და პერსონალი სტუდენტებს აწვდიან ინფორმაციას საკონსულტაციო საათებისა და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. სტუდენტებთან გასაუბრებებმა დაადასტურა აკადემიურ პერსონალთან ღია კომუნიკაციის არსებობა.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მუდმივად მუშაობს ინტერნაციონალიზაციის პროცედურების გასაუმჯობესებლად, ცილობს ჩართოს ფაკულტეტი და სტუდენტები გაცვლით პროგრამებში და შექმნას მათთვის ახალი პერსპექტივები.
უნივერსიტეტი სთავაზობს ორი სახის გაცვლითი მობილობის პროგრამას: სრულად და ნაწილობრივ დაფინანსებულს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის წესები;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მართვის სერვისის დებულება;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის სისტემა, "გონი";
- Moodle- ში გამოცდების ჩატარების წესი;
- მობილობისა და კრედიტების აღიარების წესები;
- დასაქმების ფორუმების ამსახველი მასალები, იხილეთ უნივერსიტეტის ვებსაიტი www.ciu.edu.ge.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	X	☐	☐	☐

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო - კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მაგისტრანტებს ხელმძღვანელობენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები.
პროგრამას ჰყავს 14 აკადემიური პერსონალი, მათ შორის 4 უცხოელი. ამჟამად პროგრამაზე სწავლობს 4 აქტიური სტუდენტი და ჰყავს 6 კურსდამთავრებული. უნივერსიტეტის რეგულაციების თანახნად, საკვალიფიკაციო ნაშრომის ან პროექტის ხელმძღვანელობის წინაპირობას წარმოადგენს დოქტორის აკადემიური ხარისხი.
რაც შეეხება დოქტორანტებს, უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილების თანახმად, თუ ხელმძღვანელი წარმოადგენს დასაბუთებულ არგუმენტაციას, უნივერსიტეტი თანხმდება დააფინანსოს დოქტორანტი ერთი სემესტრის განმავლობაში ნებისმიერ უცხოურ უნივერსიტეტში, სადაც იგი ჩაატარებს სადოქტორო თემასთან დაკავშირებულ კვლევას.
ხელმძღვანელებს რეგულარული კომუნიკაცია აქვთ მაგისტრანტებთან, განსაკუთრებით ხარისხის მიღების ბოლო ეტაპზე, სადიპლომო ნაშრომის წერის პროცესში. პროგრამის სტუდენტებმა ხაზი გაუსვეს სადიპლომო ნაშრომის წერის კურსის მნიშვნელობასა და სარგებლობას, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისშია მოცემული. აღინიშნა, რომ იგივე კურსი იდეალური იქნებოდა პროგრამის ბოლოს, სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე.

მაგისტრანტის / დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო / სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	**6**
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	**4 აქტიური**

თანაფარდობა	

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის CV-ები;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო ნაშრომების სია.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია დამატებითი მხარდაჭერის შეთავაზება სადიპლომო ნაშრომზე მუშაობის დაწყებამდე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტს საკმარისი მეთოდოლოგიური ცოდნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	X	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1. ადამიანური რესურსი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს აუცილებელ კომპეტენციებს და შეესაბამება პროგრამის სტანდარტებს. ამის დასტურია მათი აკადემიური და სამეცნიერო საქმიანობა გასული ხუთი წლის განმავლობაში. აკადემიურმა პერსონალმა გამოავლინა აკადემიური და სამეცნიერო აქტივობები, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებში მონაწილეობა, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების, პუბლიკაციების გამოცემა, რაც ადასტურებს მათ კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს პროგრამის ეფექტური განხორციელებისათვის.
უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები, აკრედიტაციის ექსპერტების ადგილზე ვიზიტი, აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან შეხვედრები ადასტურებს, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება ადამიანური რესურსების აკრედიტაციის სტანდარტებს.
პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ფლობს სწავლის შედეგების მიღწევისათვის საჭირო უნარებს. აკადემიური პერსონალის წევრებს აქვთ ამ სფეროში სწავლების დიდი გამოცდილება. პროგრამის აკადემიური პერსონალის უნარ-ჩვევები მოიცავს სხვადასხვა აკადემიურ და კვლევით საქმიანობას, როგორიცაა: რეცენზირებად ჟურნალებში

პუბლიკაციები, მონოგრაფიები, სახელმძღვანელოები, საერთაშორისო და რეგიონულ კონფერენციებში მონაწილეობა.
პროგრამას ჰყავს ორი ხელმძღვანელი, რომლებსაც გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისთვის საჭირო აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება. პროგრამის განხორციელებაში ჩართულ აკადემიურ პერსონალთან ერთად, ისინი გამოირჩევიან სამეცნიერო საქმიანობით და პუბლიკაციებით, რაც მოიცავს საერთაშორისო კონფერენციებსა და პროექტებში მონაწილეობას, მონოგრაფიებსა და სახელმძღვანელოებს, პუბლიკაციებს საერთაშორისო იმპაქტ- ფაქტორის მქონე ჟურნალებში.
გამოკითხვების ანალიზის დროს გაირკვა, რომ აკადემიური პერსონალი ითხოვს უცხოური უნივერსიტეტებიდან პედაგოგების მოწვევას საკუთარი სწავლებისა და კვლევის გამოცდილების გასაზიარებლად. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი იწვევს უცხოელ აკადემიურ მკვლევრებს საჯარო ლექციების ჩასატარებლად, და პროგრამა მოიცავს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციურ აკადემიურ პერსონალს სტუდენტების რაოდენობის შესაბამისად, პროგრამა საგრძნობლად გაუმჯობესდება უცხოელი მოწვეული პედაგოგების დამატებით.
პროგრამის განხორციელებაში ჩართული პერსონალის კვალიფიკაცია და რაოდენობა საკმარისია სამაგისტრო პროგრამის განსახორციელებლად.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი**	**მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი [6]**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	14	**14**	**13**	**11**
- პროფესორი	4	4	4	4
- ასოცირებული პროფესორი	9	9	8	6
- ასისტენტ–პროფესორი	1	1	1	1
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	-	-	-	-
სამეცნიერო პერსონალი	12	12	12	9

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- აკადემიური პერსონალის CV-ები;

[6]ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- კსუ- ის აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- მოწვეული პერსონალის დამატება გააძლიერებს სამაგისტრო პროგრამას და სწავლების მეთოდოლოგიას უფრო მრავალფეროვანს გახდის.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1. ადამიანური რესურსი	X	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ადგილზე ვიზიტის დროს, ექსპერტებმა გაიგეს, რომ ორი ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს სამ სამაგისტრო ნაშრომს, რაც დეტალურად იყო წარმოდგენილი ექსპერტთა ჯგუფისთვის გაზიარებულ დოკუმენტებში. სამაგისტრო ნაშრომების მარეგულირებელი ჩარჩო გადაიხედა და ქაღალდზე იგი დამაკმაყოფილებლად გამოიყურებოდა. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის რაოდენობა საკმარისია 20 სტუდენტის ხელმძღვანელობისთვის, მათ შორის 13 წევრს აქვს დოქტორის ხარისხი, რაც გულისხმობს, რომ თითოეული ხელმძღვანელი ხელმძღვანელობს ორ ნაშრომს. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა გარკვეული

პრობლემები გამოავლინა ენობრივ კომპეტენციასთან დაკავშირებით, იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა ინგლისურენოვანია. მიუხედავად იმისა, რომ პერსონალის უმრავლესობა მაღალ დონეზე ფლობს ინგლისურ ენას და საკმარისი საკომუნიკაციო უნარები გააჩნიათ, ერთ-ერთი ხელმძღვანელი ენის კომპეტენციას საშუალო დონეზეც კი ვერ აკმაყოფილებს. მას უჭირს ინგლისურად აზრის გამოხატვა და მაინც დაინიშნა ერთ-ერთი ნაშრომის ხელმძღვანელად, ასევე უძღვება კურსს „პრაქტიკა". უსდ- მ უნდა უზრუნველყოს, რომ მისი აკადემიური პერსონალი და ნაშრომის ხელმძღვანელები მაღალ დოზენე ფლობდნენ ინგლისურ ენას, რაც აუცილებელია ინგლისურენოვანი პროგრამისთვის.
გარდა ამისა, ხელმძღვანელებმა დაზუსტებით არ იცოდნენ, აქვთ თუ არა სტუდენტებს შუა პროცესში ხელმძღვანელის შეცვლის შესაძლებლობა. მნიშვნელოვანია, რომ უსდ- მ მკაფიოდ განუმარტოს ნაშრომის ხელმძღვანელებს ყველა რეგულაცია. დამატებით, მათ არ იცოდნენ, წარმოადგინეს თუ არა სტუდენტებმა უკუკავშირი მათი ხელმძღვანელობის უნარების შესახებ. ამიტომ, აუცილებელია უნივერსიტეტმა დანერგოს სტუდენტების მიერ მათი ხელმძღვანელების შესახებ წერილობითი უკუკავშირის შეგროვების სისტემა.

სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**ნაშრომის ხელმძღვანელები**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები**	**მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა	**2**	**2**	**2**
- პროფესორი	1	1	1
- ასოცირებული პროფესორი	1	1	1
- ასისტენტ–პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გასაუბრება სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებთან;
- სამაგისტრო ნაშრომის ნიმუშების მიმოხილვა;
- სამაგისტრო ნაშრომის მარეგულირებელი დოკუმენტები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- პერსონალის CV-ები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია გააძლიეროთ ენის ცოდნის დონე: უზრუნველყავით, რომ ყველა აკადემიური პერსონალი და ნაშრომის ხელმძღვანელი სათანადო დონეზე ფლობდეს ინგლისურ ენას, ვინაიდან პროგრამა ხორციელდება ინგლისურ ენაზე. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს ენის სწავლებას ან ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის მოთხოვნას

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაინერგოს სტუდენტების უკუკავშირის მექანიზმი იმისათვის, რომ მათ შეძლონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევის შესახებ ანგარიშის წარდგენა, განსაკუთრებით ენობრივი ბარიერების თვალსაზრისით, რაც იძლევა დროული ჩარევის საშუალებას.
- სასურველია უკუკავშირის მექანიზმის დანერგვა - ხელმძღვანელებისთვის უკუკავშირის შედეგების გაზიარება, რათა მათ შეძლონ განახორციელონ საჭირო ნებისმიერი რეკომენდაცია პროცესის გაუმჯობესების მიზნით.
- სასურველია ხელმძღვანელის პოლიტიკის დაზუსტება - უზრუნველყოფილი იყოს, რომ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი სრულად იყოს ინფორმირებული სტუდენტების ხელმძღვანელობის მარეგულირებელი წესების შესახებ, მათ შორის სტუდენტების მიერ ხელმძღვანელის შეცვლის საკითხთან დაკავშირებით

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელთა კვალიფიკაცია	☐	☐	X	☐

4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო / კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის პედაგოგიური და კვლევითი საქმიანობის გაუმჯობესებას. ამისთვის მას რამდენიმე მიდგომა გააჩნია: პროფესიული განვითარება, რესურსების ხელმისაწვდომობა, უკუკავშირის მექანიზმები, თანამშრომლობის შესაძლებლობები, ტექნოლოგიების ინტეგრაცია. აღნიშნული სტრატეგიების განხორციელება აუმჯობესებს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის სამუშაო გარემოს, რაც ხელს უწყობს ნაყოფიერებასა და სამსახურით კმაყოფილებას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას. პროცედურა მოიცავს შეფასების სხვადასხვა მეთოდს: ყოველ სემესტრში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს საგანმანათლებლო პროგრამის ხუთ სავალდებულო საგანს, რა დროსაც წინასწარ აფრთხილებს ლექტორს მის ლექციაზე დასწრების შესახებ. შეფასების დასრულების შემდეგ, იგი ეგზავნება პროგრამის ხელმძღვანელს შესაბამისი ცვლილებების განსახორციელებლად საჭიროების შემთხვევაში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და პროგრამის ხელმძღვანელებთან გასაუბრების საფუძველზე გამოვლინდა, რომ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ახორციელებს შეფასების რამდენიმე კომპონენტს, მათ შორის: აკადემიური პერსონალის შეფასებას სამეცნიერო საქმიანობის ანგარიშის საფუძველზე და სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვას თითოეული სემესტრის დასრულების შემდეგ.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი ზრუნავს აკადემიური პერსონალის სამეცნიერო საქმიანობაზე, ამისთვის იგი სთავაზობს პროექტებს და ხელს უწყობს მათ მონაწილეობას რეგიონულ თუ საერთაშორისო კონფერენციებში. სამეცნიერო- კვლევითი დეპარტამენტი სისტემატიურად ატარებს ტრენინგებს და კონსულტაციებს დონორი ორგანიზაციებიდან სამეცნიერო პროექტების დაფინანსების შესახებ; უსდ მოუწოდებს აკადემიურ პერსონალს მოიპოვონ გრანტები სხვადასხვა ორგანიზაციებიდან (მაგ. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი), თანადაფინანსების სახით. 2019 წლიდან უნივერსიტეტი სრულად აფინანსებს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალისა და ახალგაზრდა მკვლევრების სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების ხარჯებს იმპაქტ- ფაქტორის მქონე ჟურნალებში; ასევე, უნივერსიტეტი უფინანსებს აკადემიურ პერსონალს საზღვარგარეთ საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მგზავრობის ხარჯებს.

ტექნოლოგიების ინტეგრაცია ეფუძნება ტრენინგებისა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებას, როგორიცაა: „ელექტრონული მონაცემთა ბაზები და საძიებო მექანიზმები" (2021), „საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ძიება და მექანიზმები და დისტანციური წვდომა" (2021), „პლაგიატის აღმოჩენის პროგრამული უზრუნველყოფის მახასიათებლები და ნაშრომის დამუშავების წესები" (2021), „მონაცემთა ბაზების საძიებო

მექანიზმები, დამუშავება და სამეცნიერო ნაშრომში გამოყენება" (2022), „საერთაშორისო გამომცემლობა Elsevier- ის ვებინარი" (2022), „Scopus-მიმოხილვა" (2023) და სხვ.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი მხარს უჭერს აკადემიურ პერსონალს, აწოდებს მათ ყველა საჭირო რესურსს საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად. აკადემიური პერსონალის წევრებს შეუძლიათ გამოსცენ სახელმძღვანელოები უნივერსიტეტის დაფინანსებით.
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა დაიწყო ორენოვანი ელექტრონული ჟურნალის „სოციალური მეცნიერებების საერთაშორისო ჟურნალი" გამოცემა, რაც აკადემიურ პერსონალს აძლევს საკუთარი კვლევის შედეგების გამოქვეყნების საშუალებას. ასევე, 2009- 2019 წლებში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტმა გამოსცემდა რეცენზირებად სამენოვანი ჟურნალს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოამბე", რომელიც პუბლიკაციებისთვის ეფექტური პლატფორმა იყო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
- პერსონალის პროგრამით კმაყოფილების გამოკითხვა;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტი;
- გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის ბიუჯეტი;
- გასაუბრება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- გასაუბრება აკადემიურ პერსონალთან;
- გასაუბრება თვითშეფასების გუნდთან;
- გასაუბრება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

-

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	X	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე ინფრასტრუქტურა და კვლევისთვის საჭირო ყველა აუცილებელი პირობა. ბიბლიოთეკა თანამედროვეა, თუმცა სტუდენტების რაოდენობასთან შედარებით მცირე ზომისაა. ექსპერტებმა შემთხვევითობის წესით შეამოწმეს სასწავლო მასალები და აღმოაჩინეს, რომ ძირითადი რესურსებიდან ერთ- ერთი, კოლინ გრეის „თანამედროვე სტრატეგია", რომელიც აუცილებელია სამხედრო სტრატეგიისა და გლობალიზაციის კურსისთვის, ბიბლიოთეკაში მხოლოდ 17 გვერდით იყო წარმოდგენილი. სილაბუსი კი მოითხოვს მთლიან წიგნს. წიგნს ასევე აკლდა წინა გვერდი.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტში ვიზიტი;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია რეგულარული ინვენტარიზაცია: განახორციელეთ რეგულარული ინვენტარიზაცია, იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ყველა საჭირო მასალის ხელმისაწვდომობა სრულად და კარგ მდგომარეობაში, თავფურცელის გვერდების ჩათვლით

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია საბიბლიოთეკო რესურსების გაუმჯობესება - ბიბლიოთეკას უნდა ჰქონდეს მნიშვნელოვანი ტექსტების სრული ასლები, განსაკუთრებით ძირითადი

რესურსების ასლები, როგორიც არის კოლინ გრეის "თანამედროვე სტრატეგია", იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს სასწავლო გეგმის მოთხოვნები. დარწმუნდით, რომ ასევე დასკანერებულია წიგნის თავფურცელიც.

- სასურველია რესურსებთან დაკავშირებით სტუდენტების უკუკავშირის შეგროვება, სისტემის ჩამოყალიბება, რომლის მეშვეობით სტუდენტები შეძლებენ უკუკავშირის წარმოდგენას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით, რაც ხელს შეუწყობს ხარვეზების გამოვლენას და საერთო კოლექციის გაუმჯობესებას

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☐	X	☐	☐

4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დოკუმენტებში წარმოდგენილი ბიუჯეტი არასრული, ძალიან მცირეა და შთაბეჭდილება რჩება, რომ შედგენილია აკრედიტაციის პროცესისთვის, რაც შემდგომ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ განმარტა. მათი აზრით პროგრამა არ იქნება მომგებიანი უნივერსიტეტისთვის, საწყის ეტაპზე მაინც. თუმცა, ხელმძღვანელობამ ხაზი გაუსვა პროგრამის მნიშვნელობას და საკუთარ მზაობას საჭიროების შემთხვევაში მეტი ინვესტიცია ჩადოს. უსდ-ს გააჩნია მნიშვნელოვანი რესურსები აკადემიური პერსონალის კვლევითი საქმიანობის მხარდასაჭერად, მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტების დასახმარებლად და ახალი წიგნების შესაძენად. ისინი ეფექტურად მართავენ ბიუჯეტს და დარწმუნებული არიან, რომ შეძლებენ სამაგისტრო პროგრამის მხარდაჭერას, მიუხედავად მისი ფინანსური მომგებიანობისა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პროგრამის ბიუჯეტი;

- გასაუბრება უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია უზრუნველყოთ მეტი რესურსის გამოყოფა ლიტერატურის განახლებისთვის: უსდ-ს ლიტერატურის შესაძენად განსაზღვრული აქვს მნიშვნელოვანი თანხა, თუმცა სამაგისტრო პროგრამისათვის აღნიშნული თანხა შეადგენს მხოლოდ 750 ლარს. მკვეთრად უნდა გაიზარდოს აღნიშნული თანხა, იმისათვის, რომ აკადემიურმა პერსონალმა შეძლოს თავიანთი მასალების განახლება და მასალების აკადემიურ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი დაფუძნებულია უწყვეტი ციკლის "დაგეგმვა-შესრულება- შემოწმება- მოქმედება" პრინციპზე. იგი ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე, დამტკიცებასა და სისტემურ შეფასებაზე, რათა უზრუნველყოს მათი შესაბამისობა ინსტიტუციურ და ეროვნულ სტანდარტებთან. პროცესი იწყება პროგრამის დაგეგმვით, სადაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს აკადემიური პერსონალის გამოკითხვას და ადგენს კურსის კრედიტების შესაბამისობას სტუდენტის რეალურ დატვირთვასთან. შემუშავების შემდეგ, პროგრამებს ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და აკადემიური საბჭო.

ზოგადად, შეფასების ეტაპი გულისხმობს მუდმივ მონიტორინგს სტუდენტების, აკადემიური პერსონალისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვისა და უკუკავშირის საშუალებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს ამ მონაცემებს საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლების მეთოდებისა და სასწავლო მასალების გასაუმჯობესებლად. სწავლების ტექნიკის დახვეწისა და კურსის სილაბუსების განახლების მიზნით რეგულარულად ტარდება შეხვედრები.

ეს პროცესი გამჭვირვალეა და მოიცავს თანამშრომლობას აკადემიურ პერსონალსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის, რაც უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას.

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი საფუძვლიანი და კარგად სტრუქტურირებულია, რაც უზრუნველყოფს მუდმივ გაუმჯობესებას როგორც სწავლების, ასევე პროგრამების შემუშავებაში. მრავალი დაინტერესებული მხარის გამოკითხვისა და მიღებული მონაცემების გამოყენება შეფასების პროცესს სიღრმეს და შესაბამისობას მატებს. თუმცა, ასეთი პროცესის ეფექტურობა დიდწილად დამოკიდებულია ყველა ჩართული მხარის აქტიურ მონაწილეობასა და დროულ რეაგირებაზე.

დაინტერესებულ მხარეებთან ჩატარებული გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ მიუხედავად საგულდაგულო კვლევისა, დამსაქმებლები არ იყვნენ აქტიურად ჩართული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებაში. ერთ-ერთმა დამსაქმებელმა აღნიშნა, რომ არ მიუღია გამოკითხვის ფორმა უნივერსიტეტისგან. დამსაქმებლების ჩართულობის ნაკლებობამ გამოკვეთა პროცესში არსებული ხარვეზი, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ძირითად დაინტერესებულ მხარეს წარმოადგენენ. ვიზიტმა აჩვენა, რომ ამ საკითხების მოსაგვარებლად აუცილებელია გაუმჯობესდეს კომუნიკაცია და თანამშრომლობა უნივერსიტეტსა და დამსაქმებლებს შორის და მოხდეს შეფასების შედეგების გაზიარება.
პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება და ინოვაციური სასწავლო ტექნოლოგიების დანერგვა არსებითია ამ მაღალი სტანდარტის შესანარჩუნებლად. გარდა ამისა, შიდა შეფასების მექანიზმებთან ერთად, გარე შეფასების ინტეგრირება დამატებით პერსპექტივებს შექმნის პროგრამის გასაუმჯობესებლად.
მთლიანობაში, აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს დაპტაციას და ხარისხზე ორიენტაციას, რაც სისტემას აძლიერებს როგორც მიმდინარე, ისე მომავალი გამოწვევებისთვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- დოკუმენტი „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და მართვის ეფექტურობა“;
- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულება;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესები;
- სპეციალური გამოკითხვის ფორმები პროფესორებისთვის, სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და დამსაქმებლებისთვის (კითხვარები საგანმანათლებლო პროგრამის, სასწავლო კურსის, პროფესორების, სილაბუსის შეფასების შესახებ და ა.შ.).

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია სტრუქტურირებული უკუკავშირის ციკლების დანერგვა იმისათვის, რომ დროულად გაზიარდეს რეკომენდაციები და/ან რჩევები თანამშრომლებთან და აკადემიურ პერსონალთან. მნიშვნელოვანია, რომ შეფასების შედეგები სათანადოდ იყოს განხილული და გამოყენებული გაუმჯობესების მიზნით. რეგულარული და ყოვლისმომცველი უკუკავშირი ხელს უწყობს უწყვეტ ზრდას და დაწესებულების მიზნებთან უკეთესად შესაბამისობას
- სასურველია, დაწესებულებამ ხელი შეუწყოს დაინტერესებულ მხარეებთან სისტემატიურ თანამშრომლობას იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ეფექტური ერთობლივი მუშაობა პრობლემების გადაჭრის და განვითარების გაუმჯობესების მიზნით

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების გარე ხარისხის შეფასებას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გზით, რომელსაც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ახორციელებს, აგრეთვე ქართველი და უცხოელი ექსპერტების კოლეგიური შეფასებებით. აღნიშნული მექანიზმები ხელს უწყობს პროგრამების გაუმჯობესებას გარე უკუკავშირის გათვალისწინებით. გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის შემუშავებისას გათვალისწინებულ იქნა როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტების შენიშვნები.
უნივერსიტეტის მიდგომა გარე ხარისხის უზრუნველყოფის მიმართ ეფექტიანია, რაც უზრუნველყოფს პროგრამების შესაბამისობას ეროვნულ სტანდარტებთან და იყენებს სხვადასხვა ექსპერტის უკუკავშირს. ადგილობრივ და საერთაშორისო ექსპერტთა ჩართვა დამატებით ღირებულებას სძენს პროცესს, თუმცა არა ყველა რეკომენდაცია იქნა სრულად გათვალისწინებული. ექსპერტთა რჩევების უფრო სიღრმისეული განხორციელება კიდევ უფრო გააუმჯობესებდა პროგრამებს. მთლიანობაში, სისტემა ხელს უწყობს მიმდინარე განვითარებასა და ხარისხის გაუმჯობესებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე შეფასებები.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს გარე შემფასებლების რეკომენდაციების სრულად განხორციელება ან მკაფიო დასაბუთების წარმოდგენა იმის თაობაზე თუ რატომ ვერ ხორციელდება აღნიშნული რეკომენდაციები. აღნიშნული გაზრდის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის გამჭვირვალობას და ეფექტურობას, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს გადაწყვეტილების მიღებისას ანგარიშვალდებულებასთან ერთად უფრო სასარგებლო გახადოს ექსპერტთა მოსაზრებები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2. გარე ხარისხის შეფასება	X	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამის შემუშავება და შეფასება ხორციელდება აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორებისა და დამსაქმებლების მონაწილეობით. ზოგადად, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ატარებს სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების რეგულარულ გამოკითხვებს პროგრამის შესახებ მრავალმხრივი უკუკავშირის შესაგროვებლად. პროგრამა მოწმდება და ფასდება აღნიშნული მონაცემების საფუძველზე, და საჭიროების შემთხვევაში მასში შედის ცვლილებები. პროგრამის განახლება და ადაპტირება შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე ხდება, რაც ხელს უწყობს მის უწყვეტ მოდერნიზაციას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად უზრუნველყოფს, რომ პროგრამა აკმაყოფილებდეს აკრედიტაციის სტანდარტებს, აანალიზებს სწავლის შედეგებს და აგვარებს პროცესში გამოვლენილ ნებისმიერ პრობლემას. უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან

გამოყოფილი რესურსები მხარს უჭერენ პროგრამის განახლებას, კვლევით საქმიანობასა და ადმინისტრაციულ დახმარებას. გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამა შეიქმნა 2020 წელს, შემუშავდა კანადის, არგენტინის, პოლონეთისა და უკრაინის პროფესორებთან, ექსპერტებთან და წამყვან სპეციალისტებთან კონსულტაციებისა და მჭიდრო თანამშრომლობის გზით. პროგრამის შემუშავებაში წვლილი შეიტანეს წამყვანი უნივერსიტეტების წარმომადგენლებმაც. პროგრამის მიმდინარე სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად გამოიყენება საერთაშორისო მაგალითების საუკეთესო პრაქტიკა.

საჭიროების შემთხვევაში, ტარდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება დაგეგმილ ინტერვალებში, რისთვისაც გამოიყენება სტანდარტული ურთიერთდაკვირვება. თუმცა პრაქტიკაში იგი არ გამოუყენებიათ ამ პროგრამაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ჩართულია მრავალი დაინტერესებული მხარე როგორც პროგრამის შემუშავების, ისე მიმდინარე შეფასების ეტაპებზე. რეგულარული გამოკითხვები და უკუკავშირის მექანიზმები უზრუნველყოფს პროგრამის შესაბამისობას აკადემიურ სტანდარტებსა და დარგის მოთხოვნებთან. თუმცა, გამოკითხვებში მონაწილეობა არ დაადასტურეს არც დამსაქმებლებმა და არც სტუდენტებმა გამონაკლის შემთხვევებში.

პროცესი უკეთესად წარიმართებოდა თუ უნივერსიტეტი უფრო გამარტივებული მიდგომით გადაჭრიდა რეალურ პრობლემებს და უფრო სწრაფად მიიღებდა გამოსასწორებელ ზომებს. დამატებით, პროგრამის ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის მჭიდრო თანამშრომლობა გააუმჯობესებს რეაგირებას გამოვლენილ პრობლემებზე, რაც გაზრდიდა პროგრამის ეფექტურობას.

ადგილზე ჩატარებულმა გასაუბრებებმა არ დაადასტურა, რომ მაგისტრანტები აფასებენ სამეცნიერო კვლევით კომპონენტს ან სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესს. ეს მიანიშნებს, რომ სტუდენტებმა შესაძლოა სათანადოდ ვერ აღიქვეს ან შეაფასეს მათი პროგრამის აღნიშნული ასპექტები. სტუდენტების აღქმების სიღრმისეული შესწავლა სამეცნიერო-კვლევით კომპონენტთან დაკავშირებით უკეთეს წარმოდგენას მოგვცემს იმის შესახებ, თუ როგორ გავზარდოთ მათი ჩართულობა და შეფასება საკუთარი აკადემიური გამოცდილების კრიტიკული ელემენტების მიმართ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- გლობალური პოლიტიკისა და უსაფრთხოების კვლევების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- სტუდენტთა სწავლის შედეგების მონიტორინგის მექანიზმები და მათი ანალიზი;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;

- გამოკითხვის ფორმები პროფესორებისთვის, სტუდენტებისთვის, კურსდამთავრებულებისთვის და დამსაქმებლებისთვის;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მომზადებული 2020- 2021; 2021- 2022; 2022- 2023 წლების ანგარიშები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ყველა პროგრამაში რეგულარულ რეჟიმში, პრაქტიკაში განხორციელდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის სწავლების შეფასება. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს სწავლების ხარისხის თანმიმდევრულობას და უზრუნველყოფს მნიშვნელოვან უკუკავშირს სხვადასხვა პერსპექტივიდან

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☐	X	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	X
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება / სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	X	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☐	X	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

პაულო ვილა მეიორი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების

თინათინ ქაროსანიძე

ნათია მაღალაშვილი

ჟანა სირბილაძე

ნინო ტალიკაძე